ევროკავშირი საქართველოსთვის

როგორ უჭერენ მხარს გავლენის ფონდები სოციალური საწარმოების განვითარებას?

ფონდ “მოზაიკისა” და სოციალური საწარმო "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" (Igraj Uči Rasti) თანამშრომლობის მაგალითი

ქრისტინე კანდელაკი
გავლენის ფონდ ”აქციოს” მენეჯერი
სტატიის ავტორი

გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ყოველწლიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ინვესტორები შეიძლება იყვნენ როგორც ინდივიდუალური პირები, ისე კომპანიები. ზოგჯერ ბიზნეს კომპანიები საკუთარ ფონდებს ქმნიან და მათი გავლით ახორციელებენ სხვადასხვა ფილანთროპიულ თუ გავლენაზე ორიენტირებულ საინვესტიციო საქმიანობას. ზოგიერთ ინვესტორს კი ურჩევნია დადებითი გავლენის შექმნაში წვლილი სოციალური გავლენის ფონდების მეშვეობით შეიტანოს. სოციალური გავლენის ფონდი თავს უყრის რესურსს, რომელიც შემდგომ სოციალური საწარმოების შექმნასა და განვითარებას ხმარდება. საჭიროებებზე მორგებული ფინანსური მხარდაჭერა, ორგანიზაციული განვითარება, სოციალური გავლენის გაზომვა და მართვა მსგავსი ფონდების მიერ სოციალური საწარმოებისთვის გაწეული მხარდაჭერის აუცილებელი კომპონენტებია. სოციალური გავლენის ფონდი ინვესტორს ეხმარება წვლილი შეიტანოს დადებითი სოციალური გავლენის შექმნაში და, ამასთანავე, თავიდან აირიდოს ისეთი რთული პროცესები, როგორებიც არის სამიზნე ორგანიზაციის შერჩევა, ფინანსების მართვა, საკონსულტაციო პროცესის ორგანიზება, მიღწეული შედეგების შეფასება და ა.შ.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ წარმოგიდგენთ ერთ-ერთი წარმატებული სოციალური გავლენის ფონდის ისტორიასა და გაგაცნობთ მის მიერ მხარდაჭერილ სოციალურ საწარმოს, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

ფონდი მოზაიკა (Mozaik Foundation) 2002 წელს დაფუძნდა ბოსნია ჰერცეგოვინაში. 10 წლის მანძილზე, ფონდი აქტიურად მუშაობდა თემის განვითარებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიმართულებით. 10 წლის თავზე, 2012 წლისათვის, “მოზაიკა სარგებლობდა საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების (მაგ., EU, USAID) მაღალი ნდობით და ახორციელებდა მსხვილმასშტაბიან პროექტებს.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებისა, მოზაიკას ლიდერები აქტიურად ფიქრობდნენ ორგანიზაციის მდგრადობისა და განვითარების მიმართულებით. ამავდროულად, როგორც ისინი ჰყვებიან, ორგანიზაციას გაუჩნდა ე.წ. "უჩინარი პანდემიის" სიმპტომები, რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით ბევრ არამომგებიან ორგანიზაციაზე მოახდინა გავლენა. ამ დაავადებას მოიხსენიებენ როგორც "**პროექტიტს**". ის გავლენას ახდენს ისეთ ორგანიზაციებზე, რომელთაც აქვთ ფონდების მოძიების კარგი უნარები და, ამასთანავე, ხასიათდებიან თვითკმაყოფილებით - საკუთარ თავზე იღებენ მხოლოდ იმ რისკებს, რომლებიც საჭიროა დაფინანსების მოსაპოვებლად, უპირველესად ფოკუსირებულები არიან დონორების "გაბედნიერებაზე" და ძალიან მცირე დროსა და ძალისხმევას უთმობენ (ან საერთოდ არ უთმობენ) მიზნობრივ ჯგუფებთან და თემებთან კომუნიკაციას, სისტემურ ცვლილებებზე მუშაობას.

მოზაიკა ცდილობდა დარჩენილიყო დონორებისგან დამოუკიდებელი, თუმცაღა "პროექტიტის" სიმპტომები იზრდებოდა და ფონდი დადგა "დაავადების" სრულად განვითარების საფრთხის წინაშე. ამის შედეგი საბოლოოდ იქნებოდა ის, რომ მოზაიკა გახდებოდა სრულად დონორების მიერ მართული ორგანიზაცია. შესაბამისად, მოზაიკამ მიიღო რთული და გამოწვევებით სავსე გადაწყვეტილება, უარი ეთქვა მსხვილ დონორებსა და პროექტულ საქმიანობაზე. ფონდი 3 წლის მანძილზე მუშაობდა სოციალური გავლენის სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელმაც საბოლოო სახე 2014 წელს მიიღო. რაც შეეხება დაფინანსების შესაძლებლობებს, მოზაიკამ აქტიურად დაიწყო გავლენის ინვესტორების მოძიება, რომლებიც მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ მოზაიკას სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებისთვის:

1. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდების მოზიდვა
2. თემის ლიდერი ახალგაზრდების მობილიზება და გაძლიერება
3. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდა ბიზნეს ლიდერების მხარდაჭერა ინვესტირებისა და მათი საქმიანობის პოპულარიზაციის გზით.

მოძიებულ ინვესტორებსა და მხარდამჭერებს შორის აღსანიშნია Mott Foundation, Bosch Foundation, Unicredit, US Deloitte D2i Program, Sparkasse Bank, Rockefeller Brothers Fund და ა.შ.[1]

დღეისათვის, მოზაიკა არის წარმატებული სოციალური გავლენის ფონდი, რომელიც უმეტესად, კერძო ინვესტორების მხარდაჭერით აძლიერებს ახალგაზრდებს და ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის განვითარებას ბოსნია ჰერცეგოვინაში.

- მეტი ინფორმაცია ფონდ "მოზაიკის" შესახებ იხილეთ ბმულზე: https://mozaik.ba/?lang=en

სოციალური საწარმო "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდე" (Igraj Uči Rasti) [2]

სოციალური პრობლემა

ტექნოლოგიების განვითარებამ, როგორებიცაა პლანშეტები და მოწყობილობები ვიდეო თამაშებისთვის, ადრეული ბავშვობის პერიოდში რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობები ნელ-ნელა ჩაანაცვლა. ამან საბოლოოდ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის განვითარებაზე და გამოიწვიოს კოგნიტიური და სოციალური განვითარების შეფერხება. ბავშვის ჯანსაღი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია რეალური ურთიერთობების შენარჩუნება, განსაკუთრებით, ადრეულ პერიოდში (მაგ. 3-დან 12 წლამდე).

გადაწყვეტა

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა 2016 წელს ბოსნია ჰერცეგოვინაში დაფუძნებულმა სოციალურმა საწარმომ "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდე" (Igraj Uči Rasti) დაიწყო. საწარმოს მიზანია ტრადიციული საგანმანათლებლო თამაშების შექმნა და პოპულარიზაცია, რომლებიც ეფექტურად ავითარებს ბავშვის კოგნიტიურ უნარებს და, ამასთანავე, ამ პროცესს სასიამოვნოს ხდის.

[1] https://mozaik.ba/about-us/?lang=en#history

[3] VP/SI in Central Eastern Europe, CASE STUDY MOZAIK FOUNDATION – IGRAJ UČI RASTI, EVPA, 2017

სოციალურმა საწარმომ თავდაპირველად, 3-დან 12 წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი საბარათე თამაში შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ერთდროულად 5 კოგნიტიური უნარის განვითარებას:

- ენა და კომუნიკაცია
- მოტორული უნარები
- კრიტიკული აზროვნება
- სოციალური და ემოციური გონიერება
- წარმოსახვა და შემოქმედებითი აზროვნება

"ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" მიზანია, მისი თამაშებით რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა ითამაშოს. საწარმო მოქმედებს "ერთი ერთის სანაცვლოდ" პრინციპით: თითოეული გაყიდული თამაშიდან ერთი უფასოდ გადაეცემა დაბალშემოსავლიან ოჯახებს.

ფონდი მოზაიკა "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" მხარდამჭერი საწყის ეტაპზევე გახდა.

თავდაპირველად, მათ თანამშრომლობის შემდეგი მიზნები დაისახეს:

1. პროდუქტის დისტრიბუცია საწარმოს ამოქმედებისთანავე დასავლეთ ბალკანეთის რეგიონში.
2. ინგლისური, გერმანული, ესპანური, იტალიური და კირილიცას ვერსიების შექმნა ევროპულ ბაზარზე გასასვლელად.
3. პროდუქტის მიწოდება 3-დან 12 წლამდე ბავშვებთან მომუშავე ყველა სახის ორგანიზაციისათვის (ბაღები, სკოლები, საგანმანათლებლო და სოციალური ორგანიზაციები).
4. თითოეული გაყიდული თამაშიდან ერთი თამაშის გადაცემა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის.

მიღწეულ სოციალურ შედეგებს საწარმო გაყიდული და უფასოდ გადაცემული თამაშების რაოდენობით ზომავს, თუმცაღა საბოლოო სოციალური გავლენა საწარმოსთვის ბავშვების მიერ ციფრული მოწყობილობების გამოყენების შემცირებაა. ამისათვის "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდე" მნიშვნელოვნად მიიჩნევს მშობლების ჩართულობის ზრდას და ბავშვებთან თამაშის უნარების განვითარებას.

ფინანსური მხარდაჭერა

ფონდმა მოზაიკამ წინასწარი (pre-seed) ინვესტიცია სოციალურ საწარმო "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდე“-ში საქმიანობის საწყის ეტაპზე 2,500 ევროს ოდენობის გრანტით განახორციელა. ამას მოჰყვა საწყისი (seed) ინვესტიცია კაპიტალის სახით, 8000 ევროს ოდენობით.

არაფინანსური მხარდაჭერა

წინასწარი ინვესტიციის (pre-seed investment) პერიოდში 3 თვის მანძილზე ფონდი მოზაიკა "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" დაეხმარა პროდუქტის პროტოტიპის განვითარებასა და ტესტირებაში. შედეგად შეფასდა ბაზრის მოთხოვნები და ის, თუ რამდენად შეძლებდა სოციალური საწარმო მნიშვნელოვანი სოციალური გავლენის შექმნას. შემდეგ პროდუქტის ჩაშვებამდე საწარმომ დაიწყო მარკეტინგული კამპანიის წარმოება ძირითადად Facebook-ის გამოყენებით. კამპანიამ მოლოდინს გადააჭარბა: 24 საათში სოციალურმა საწარმომ წინასწარი შეკვეთა 90 ერთეულზე (საწყისი გეგმის 3%) მიიღო.

ინკუბაციის ეტაპზე მოზაიკა სოციალურ საწარმოს დაეხმარა ბიზნეს მოდელის შემუშავებაში, რის შემდეგაც უზრუნველყო საწყისი კაპიტალით.

აქსელერაციის ეტაპზე მოზაიკა საწარმოს დაეხმარა ბიზნესის გაფართოების მოდელის შემუშავებაში, ხელი შეუწყო სხვადასხვა აქსელერატორში მონაწილეობაში და ახალი კაპიტალის მოზიდვაში ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელად.

დამატებით მოზაიკას მიერ გაწეული არაფინანსური მხარდაჭერა მოიცავდა შემდეგ სფეროებს:
სხვადასხვა ქსელზე წვდომა
ფინანსური მენეჯმენტი
ოპერაციული მხარდაჭერა
მენეჯმენტის გუნდის გაძლიერება
მარკეტინგი და კომუნიკაცია
იურიდიული კონსულტაცია
ტექნიკური მხარდაჭერა სხვადასხვა სპეციალიზებულ სფეროში

ფინანსური და სოციალური უკუგება

2017 წლისათვის "ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" უკვე გაყიდული ჰქონდა 10,000-მდე თამაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ამავე რაოდენობის თამაში გადაეცა დაბალშემოსავლიან ოჯახებს. სოციალურმა საწარმომ ნელ-ნელა გააფართოვა თამაშების ასორტიმენტი და დღეს მომხმარებელს ათამდე განსხვავებულ პროდუქტს სთავაზობს.

ფონდ მოზაიკასა და „ითამაშე, ისწავლე, გაიზარდეს" შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულებს:

https://www.igrajucirasti.ba/

https://www.facebook.com/igraj.uci.rasti/

https://mozaik.ba/about-us/?lang=en#

წყარო: https://www.impacteurope.net/insights/vpsi-central-eastern-europe-case-studies-mozaik-foundation-igraj-uci-rasti

ეს სტატია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) Impact Europe-თან (ყოფილი EVPA) თანამშრომლობით ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CSRDG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.